ᲧᲐᲜᲓᲐᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲝᲠᲗᲐ! ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲗ ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ! ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲔᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲦᲐᲛᲘᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲝᲬᲕᲝᲚᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1972 წ.
№ 205 (4715)
15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ.
ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

Გ. ᲪᲐᲠᲘᲝᲕᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲚᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ადგილობრივ ველოტრეკზე მიმდინარეობს ველოსიპედისტთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასზე. 500 მეტრზე ადგილიდან გიტში გაიმარჯვა ლენინგრადელმა გ. ცარიოვამ. მან მანძილი დაფარა 37,29 წამში. ვერცხლის მედალი მოიხვეჭა მოსკოველმა გ. ერმოლაევამ (37,82), ბრინჯაოსი — ტულელმა თ. პილშჩიკოვამ — 37,99.



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ

პოლონეთის ჟურნალ „სპორტოვეცის“ და გაზეთ „ლელოს“ რედაქციებს მრავალი წლის შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებთ. პოლონელები ხშირად ჩამოდიან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, ეცნობიან საქართველოს სპორტსმენებისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობას, შემდეგ კი ყველაფერს დეტალურად აცნობენ თავიანთ მკითხველებს. ასე გაიცნეს პოლონეთში სახელოვანი ქართველი ფალავნების, ფეხბურთელების, კალათბურთელების ცხოვრება, რაინინების მოწინავე ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობა.

ამ დღეებში თბილისში სტუმრად იყვნენ „სპორტოვეცის“ პასუხისმგებელი მდივანი ლ. ედლევსკი მეუღლით და ამავე ჟურნალის ფოტოკორესპონდენტი ტ. პრაჟმოვსკი. პოლონელმა სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს სპორტსმენთა ბოლოდროინდელი წარმატებებისადმი.

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იყო თბილისი თავისი ახალმშენებლობებით, ბაზებით და იმ სახელოვანი სპორტსმენებით, რომლებსაც კარგად იცნობენ არა მარტო საბჭოთა ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, პირველ ყოვლისა კი პოლონეთში.

სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ლესელიძის ოლიმპიურმა კომპლექსმა. საქართველოს სპორტსმენებსო, — აღნიშნეს მათ, — ყველა პირობა გააჩნიათ, რომ მოწინავეთა შორის მოწინავენი იყვნენ. ასეთი დიდებული სპორტული კომპლექსი ბევრ ქვეყანაში სანატრელიაო.

პოლონელი ჟურნალისტები მუდამ ინტერესს იჩენდნენ სპორტის ეროვნული სახეობებისადმი. ეს ინტერესი მათ, როგორც ჩანს, არ განელებიათ, განსაკუთრებით ქართული ჭიდაობის ოსტატთა მიმართ. გორში ყოფნისას პოლონელი სტუმრები ესაუბრნენ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გ. პაპიტაშვილს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. ქიბოროშვილს და ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს ქართულ ჭიდაობაში დ. ბერუაშვილს.

ბევრი საინტერესო რამ უამბო პოლონელ ჟურნალისტებს XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ძიუდოში შ. ჩოჩიშვილმა.

გულუხვი მასპინძლობა გამოიჩინა საგარეჯოში მიუნქენის ოლიმპიადის ჩემპიონმა ლ. თედიაშვილმა.

მეორე დღეს უცხოელმა ჟურნალისტებმა ინახულეს სიღნაღი, გურჯაანი, წინანდალი, თელავი და შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ თბილისში. კმაყოფილების გრძნობით გახსენეს ბათუმში გატარებული ერთი დღეც. საერთოდ კი, სტუმრების აზრით, ასეთი კონტაქტები ხელს უწყობს პოლონელი და ქართველი ხალხების დამეგობრებას.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: „სპორტოვეცის“ პასუხისმგებელი მდივანი ლ. ედლევსკი ესაუბრება ნ. დრონოვს. სხვათა შორის, იმ დღეს ბევრი საინტერესო რამ უამბო სტუმარს ნორჩი ტანმოვარჯიშის მწვრთნელმა ს. ბურჯანაძემ.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ᲞᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების მოჭადრაკე ვაჟთა VIII ჩემპიონატის პირველ ტურში სენსაცია ჩეხოსლოვაკიელმა ოსტატობის კანდიდატმა ვ. პრანდშტეტერმა შემოგვთავაზა, როცა შეჯიბრების მონაწილე ერთადერთი დიდოსტატი, მოსკოველი ვ. ლიბერზონი დაამარცხა. მან მეორე ტურშიც სენსაციური გამარჯვება იზეიმა, როცა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონს, რიგელ ოსტატ ვ. ჟურავლიოვს მოუგო.

მეორე ტურში თბილისელი ოსტატი ე. უბილავა ოდესელ საერთაშორისო ოსტატ მ. პოდგაეცს ეთამაშებოდა შავებით. თბილისელმა კარგი პოზიცია მიიღო. მაგრამ შემდეგ ვერ შენიშნა მეტოქის ტაქტიკური დარტყმა და ორ ფიგურაში ლაზიერი წააგო. პოდგაეცმა ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა.

წარუმატებლად ითამაშა ამ ტურში მეორე თბილისელმა ოსტატმა ე. იზვოზჩიკოვმაც. იგი რიგელ ოსტატ ი. კლოვანს ხვდებოდა. იზვოზჩიკოვმა გვერდი აუხვია თეორიულ გაგრძელებას და მწვავე ციტნოტში ფიგურა წააგო. კლოვანს არ გასჭირვებია გამარჯვების მოპოვება.

ლიბერზონ — ლ. ციხის (გდრ) შეხვედრაში უკვე მეოცე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ა. ოკვატ (უნგრეთი) — რ. პოსტლერის (გდრ) პარტიაში მანევრული ბრძოლა მიმდინარეობდა. პოსტლერი შეცდა და ოკვატმა ლამაზად მოიგო შეხვედრა.

პოლონელი ი. ადამსკისა და უნგრელი ლ. ვაღასის შეხვედრაში რთული ბრძოლის შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გადაიდო პოლონელ ა. ლოკასტოსა და ჩეხოსლოვაკიელ ე. ნოვაკის პარტია, რომელშიც პოლონელს ხარისხი და მოგების კარგი შანსი აქვს.

ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (2) ლიდერობს ახალგაზრდა ჩეხოსლოვაკიელი პრანდშტეტერი.

Ა. ᲪᲔᲮᲐᲜᲔᲚᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ე. უბილავასა და მ. პოდგაეცის (მარცხნივ) შეხვედრა. სატურნირო დარბაზის საერთო ხედი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ᲤᲘᲓᲔᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ

ᲡᲙᲝᲞᲚᲔ, 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. მორიგი მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა 1974 წლის ივნისში გაიმართება საფრანგეთში, ალბათ ნიცაში. როგორც ჩანს, ქალთა ოლიმპიადა, ისევე როგორც სკოპლეში, ვაჟთა ოლიმპიადის პარალელურად ჩატარდება. შეჯიბრებები საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის 50 წლისთავის იუბილეს დაემთხვევა (ფიდე პარიზში დაარსდა 1924 წელს).

მომავალი საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების ვადისა და „მისამართის“ შესახებ გადაწყვეტილება ერთ-ერთია იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც ფიდეს კონგრესმა სკოპლეში მიიღო. როგორც იუნიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კონგრესმა დაადგინა, რომ იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი, შვეიცარიელი ვ. ჰუგი ავტომატურად შეეა მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინისთვის მოსახპარეზოთა საზონათშორისო ტურნირის მონაწილეთა რიცხვში. ორ ასეთ ტურნირში პირველ სამ ადგილზე გასულები, აგრეთვე, მსოფლიოს ვერ-ჩემპიონები ბ. სპასკი და ტ. პეტროსიანი ითამაშებენ პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც დაასახელებს მსოფლიო ჩემპიონის პარტნიორს 1974 წლის მატჩისთვის.

ვ. კორჩნოისა და დანიელ დიდოსტატ ბ. ლარსენს მოუწევთ თამაში საკვალიფიკაციო მატჩში. გამარჯვებული უფლებას მიიღებს გამოვიდეს პრეტენდენტთა შეჯიბრებაში, თუ სპასკი ან პეტროსიანი უარს იტყვიან მონაწილეობაზე.

კონგრესმა გადაწყვიტა, რომ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატები ამიერიდან ჩატარდება ყოველწლიურად და არა ორ წელიწადში ერთხელ, როგორც აქამდე იყო. შემდეგი პირველობა ინგლისის ქალაქ ტისაიდში გაიმართება გაისად, 16 იულისიდან 5 აგვისტომდე, ევროპის გუნდური ჩემპიონატი 1973 წლის ივლისში ბატში (ინგლისი) ჩატარდება.

ᲡᲙᲝᲞᲚᲔ, 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე ფიდეს კონგრესზე მიღებულია გადაწყვეტილება ორივე საზონათშორისო ტურნირის მონაწილეთა რიცხვის 18-ᲛᲓᲔ გაზრდის შესახებ. იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონის, შვეიცარიელი ჰუგის გარდა მონაწილეთა რიცხვში შეყვანილია თითო-თითო მოჭადრაკე ცენტრალურ-ამერიკული, სამხრეთ-ამერიკული და აზია — ავსტრალიის ზონებიდან. საზონათშორისო ტურნირებში ამ ზონებიდან შემდეგი მოჭადრაკეები გამოვლენ: კუელარი (კოლუმბია), ესტევესი (კუბა), მკინგი (ბრაზილია), პანო, კვინტერონი (ორივე — არგენტინა), ტორე (ფილიპინები) და ის მოჭადრაკე, რომელიც გაიმარჯვებს ფულერის (ავსტრალია), სინგაპურელი მოჭადრაკეების კანის, ჰინგკინგის, ტენის მატჩ-ტურნირში.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ერთ-ერთი საზონათშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირში გაიმართება, მეორე — ბრაზილიაში 1973 წელს.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება (უკვე საბოლოო), რომ მსოფლიო პირველობის მეთხუთმეტნალური, ნახევარფინალური და პრეტენდენტთა ფინალური მატჩები შესაბამისად ერთ-ერთი მეტოქის სამ, ოთხ და ხუთ გამარჯვებამდე გაგრძელდეს. იმ შემთხვევაში, თუ კონკურენტები ამას ვერ მოახერხებენ შესაბამისად 16, 20 და 24 პარტიის განმავლობაში, ხოლო ანგარიში ამ დროს თუ საყაიმო იქნება, გამარჯვებულს წილისყრა დაასახელებს.

საბჭოთა მხარემ მოიწონა პოლანდიის საჭადრაკო ფედერაციის წინადადება ფიდეს 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის მატჩის ჩატარებაზე.

დადგენილია სტუდენტთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების ადგილები. გაისად შეჯიბრება ეკვადორში გაიმართება, ხოლო 1974 წელს — ინგლისში.

უკეთესად შეიძლებოდა

სოჩი ორ დღეს მასპინძლობდა სსრ კავშირის ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლების კოლექტივებს, რომლებიც აქ პირველ გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ. ეს სტარტები ფაქტიურად ასპარეზობის მესამე ეტაპი იყო. მას წინ უსწრებდა შიდასასკოლო ტურნირები (პირველი ეტაპი) და სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ცენტრალური საბჭოების პირველობები (მეორე ეტაპი). მეორე ეტაპზე გამარჯვებულ სკოლებს ფინალში 20-20 სპორტსმენი გამოჰყავდათ, თანაც თითოეულს სპორტის მხოლოდ ერთ სახეობაში ასპარეზობის უფლება ჰქონდა, ამიტომაც ყველა კოლექტივი მთელ რიგ სახეობებში სარბიელს მიღმა დარჩა.

ხაასპარეზოდ 32-მა საუკეთესო სკოლამ მოიყარა თავი. გუნდური ბრძოლა ყველა ადგილისთვის უაღრესად დაძაბული გამოდგა. გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის „დინამოს“ სკოლამ, რომლის სპორტსმენებმა 169 ქულა მოაგროვეს (სახეობაში I ადგილზე გასული სპორტსმენი კოლექტივს 12 ქულას აძლევდა, მეორე პრიზიორი — 11, მესამე — 10 ქულას და ა. შ.). მათ მხოლოდ 7 ქულით ჩამორჩა მინსკის „შრომითი რეზერვების“ სკოლის გუნდი, რომელიც, ფაქტიურად, ბელორუსიის „შრომითი რეზერვების“ კოლექტივების ნაკრები გახლდათ, ვინაიდან სკოლას ფილიალები რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქში აქვს.

კარგად გამოვიდა მოსკოვის „სპარტაკის“ სპორტსკოლა, რომლის განკარგულებაშია სსრ კავშირის საუკეთესო ბაზა — ძმები ზნამენსკების სახელობის მანეჟი. სწორედ ამ მანეჟის ბილიკებისა და სექტორების უნარიანი გამოყენებითაა, რომ სკოლამ მოკლე დროში საგრძნობი წარმატებები მოიპოვა, სოჭში კი 131 ქულით III ადგილზე გავიდა.

ტურნირში საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელებიც გამოდიოდნენ. საბოლოოდ მათ 99 ქულით X ადგილი დაიკავეს. ეს ცუდი შედეგი როდია, მაგრამ უკეთესის მიღწევაც შეიძლებოდა. ჩვენი ბავშვები IX ადგილზე გასულ რიგის „დაუგავას“ მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩნენ, ლენინგრადის „სპარტაკს“ — 5, ოდესის „დინამოს“ — 7, ლენინგრადის „ბურევესტნიკს“ კი, რომელმაც VI ადგილი მოიპოვა, 11 ქულით.

როგორც სკოლის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, გუნდის დაკომპლექტებაში დაშვებული შეცდომები რომ არა, თბილისელები უკეთ გამოვიდოდნენ. საქართველოს პროფსაბჭოს სკოლამ დაბალი შედეგების გამო საასპარეზოდ არ წაიყვანა 100, 200, 400, 800 და 1500 მეტრზე მორბენალი გოგონები. დაბალია საშუალო მანძილებზე მორბენალი ჭაბუკების, სპორტული მოსიარულეების, სამმხტომელების, აგრეთვე სიგრძეზე მხტომელი და ბირთვის მკვრელი გოგონების მომზადების დონე.

არც ის დაუმალავთ, რომ ზოგიერთი სპორტსმენი სოჭში თავის შესაძლებლობაზე გაცილებით ცუდად გამოვიდა. მაგალითად, ათჭიდელმა ტ. ორდენიძემ, რომლისგანაც ბევრს ელოდნენ, 5518 ქულით 24-ე ადგილი დაიკავა. ვ. მინაკოვა ხუთჭიდში ასპარეზობისთვის აშკარად მოუმზადებელი აღმოჩნდა და მე-18 ადგილს დასჯერდა. ჭაბუკთა შორის ვ. კაკაურიძემ 100 მეტრზე რბენაში 11,2 წამი აჩვენა და ფინალში ვერ მოხვდა. საბოლოოდ გუნდს მან მხოლოდ 7 ქულა შესძინა, მაშინ, როცა გამარჯვებისთვის ბრძოლა შეეძლო.

ს. ტოროიანმა 400 მეტრი 50,9 წამში გაირბინა და X ადგილზეა (3 ქულა), მისი პირადი რეკორდი კი გაცილებით მაღალია. ვერც გ. გუნჩინმა გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი. იგი წინასწარ ტურნირში 673 სმ სიგრძეზე გადახტა (VIII ადგილი, 5 ქულა) და სულ რაღაც 7 სმ დაკლდა, რომ ფინალში ასპარეზობის უფლება მოეპოვებინა. არადა, გუნჩინი ამ სამოდე დღის წინ თბილისში 690 სმ-ზე გადახტა. ჭოკით მხტომელი ა. მარავსკი 4 მეტრზე გადახტა და XIII ადგილს დასჯერდა.

— იმედი ყველაზე მეტად შუბის მტყორცნელმა ნ. ორფანოვმა გაგვიმტყუნა. მართალია, მან შუბი შორს ტყორცნა, მაგრამ წვერით მიწას ვერ შეახო და შეუფასებელი დარჩა. მისგან კი, სულ ცოტა, III ადგილს ველოდით. ვ. ხუციანიძემ ამ სახეობაში XVII ადგილი დაიკავა — დაამთავრა სკოლის დირექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დ. იოსელიანმა.

მართლაც, როცა საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსკოლის მწვრთნელებთან ერთად სოჭში მოასპარეზე ამ სკოლის აღსაზრდელთა შესაძლებლობანი გავაანალიზეთ, დავრწმუნდით, რომ კოლექტივს IV ადგილზე გასვლა შეეძლო.

საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს საქართველოს პროფსაბჭოს სკოლის ყველა სპორტსმენი გაკიცხვის ღირსია. ბევრი დიდი მონდომებით იბრძოდა. სწორედ მათი მეცადინეობის შედეგია ის 99 ქულა, რაც კოლექტივმა მოაგროვა და უკან 22 კოლექტივი ჩამოიტოვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმაღლეზე ხტომაში მ. ალიაკრინსკაიას, 110 მეტრზე თარჯრბენში ბ. ვეშაგურიძის, ბირთვის კვრაში ვ. ხმელიძის გამარჯვება. ვეშაგურიძემ ნახევარფინალსა და ფინალში ერთნაირი შედეგები (15,1) აჩვენა და 0,4 წამი მოუგო რიგელ ი. ვაიშლიარს.

ალიაკრინსკაიამ ამ ტურნირში მორალური ზღუდე გადალახა: დაამარცხა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ნ. ბუბნოვა (ლენინგრადის „ტრუდი“).

გოგონებისთვის სიმაღლეზე ხტომა ყველაზე წარმომადგენლობითი სახეობა იყო. პირველობისთვის 15 სპორტის ოსტატი, 4 ოსტატობის კანდიდატი, 7 პირველთანრიგოსანი იბრძოდა. ალიაკრინსკაიამ ყველას აჯობა — 171 სმ სიმაღლე გადალახა და ცდებით სძღია ჟ. გიმელფარბს (ლენინგრადის „სპარტაკი“).

ხმელიძემ ბირთვის კვრაში შეჯიბრებისას ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა, რომ საბჭოთა კავშირში ბადალი არ ჰყავს ჭაბუკთა შორის. მართალია, იგი პირად ტურნირში გამოდიოდა, მაგრამ კიევის დინამოელ გ. ვორზუნს (14,16) 2,31 მეტრი მოუგო.

საქართველოს პროფსაბჭოს სკოლის სპორტსმენთა სხვა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები ასეთია: 100 მეტრზე თარჯრბენში ტ. შერკულოვამ IV ადგილი დაიკავა — 15,9 (გაიმარჯვა რიგის დინამოელმა ო. ბელიცკამ — 14,4), ა. კუზინმა 2 მეტრი სიმაღლე გადალახა და II ადგილზე გავიდა. მან ა. გრინოვიევთან (ლენინგრადის „სპარტაკი“) მხოლოდ 2 სმ წააგო. ლ. ბოლქვაძე ათჭიდში მესამე იყო — 6706 ქულა (ყველას აჯობა კიშინოველმა ვ. კოჩანოვმა — 7337), ბ. მექვაბიშვილი 200 მეტრზე რბენაში VI ადგილს დასჯერდა — 22,6 (ფინიშთან პირველი იყო მოსკოვის დინამოელი ს. იზოტოვი — 22,0). გ. ელიაშვილიც VI ადგილზე გავიდა, ოღონდ უროს ტყორცნაში — 53,80. გორკელმა ე. სვირიდოვმა მას 4,38 მ მოუგო და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი.

გუნდს ჩათვლები მისცეს, აგრეთვე, ლ. მეგენეიშვილმა — ბადროს ტყორცნაში — 38,08 (6 ქულა), ვ. შტუკატუროვამ — შუბის ტყორცნაში — 38,08 (4 ქულა), ნ. დანილოვამ — ხუთჭიდში — 332 ქულა. დანილოვამ ხუთჭიდსა და სიმაღლეზე (160 სმ) ხტომაში პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი.

ტურნირმა დაადასტურა სხვა ქალაქების სპორტსმენთა შედეგების ზრდაც, რასაც პრიზიორთა მაჩვენებლების სიმჭიდროვე ადასტურებს. მაგალითად, 100, 400, 800 მეტრზე მორბენალ გოგონებს ერთმანეთისგან 0,1 წამი ჰყოფდა. ბირთვის მკვრელ გოგონათა შეჯიბრებაში კიევის დინამოელმა ს. სუსოვამ 14,60 მეტრი აჩვენა, ოდესის დინამოელმა ნ. აბაშიძემ კი 14,22. პირველთანრიგოსანი ფ. გოლიაკოვი (კიევის „დინამო“) 775 სმ სიგრძეზე გადახტა და სპორტის ოსტატობა მოიპოვა.

რ. ცეცხლაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოჭი.

ამგავი ერთი დარბაზისა

იყო და არა იყო რა, იყო ახალციხეში ერთი პატარა სპორტული დარბაზი. დარბაზი ერქვა, თორემ, რომ იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. ბავშვები ვერც ერთ სახეობაში ხეირიანად ვერ ვარჯიშობდნენ. შეწუხდნენ მწვრთნელები, აღსაზრდელები, იფიქრეს, იფიქრეს და განათლების რაიონული განყოფილების კარს მიადგნენ: იქნებ რამე გვიშველოთ, დარბაზი საერთო ძალით გავაფართოვოთო. განათლების განყოფილებაში ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქციეს. მაშინ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის თავდადებულმა ადამიანებმა დახმარებისთვის პარტიის რაიონულ კომიტეტს მიაკითხეს.

რაიკომში უფრო გულისხმიერი ხალხი აღმოჩნდა. დარბაზი ერთიორად გაიზარდა. კეთილმოწყო. გაიხარეს მწვრთნელებმა, აღსაზრდელებმა. გაჩაღდა წრეების მუშაობა. იქვე მახლობლად მდებარე რვაწლიან რუსულ სკოლასაც ეშველა: ამ სკოლის მოსწავლეებმა თავი ახალ დარბაზს შეაფარეს — ფიზკულტურის გაკვეთილები აქ ტარდებოდა.

მას შემდეგ კარგა დიდი ხანია. დარბაზი თანდათან დაიტვირთა: ბოლო წლებში ზამთრობით აქ ვარჯიშობდნენ მძლეოსნები, მოკრივეები, ტანმოვარჯიშეები, კალათბურთელები, რვაწლიანი სკოლა მე-4 რუსულ საშუალო სკოლად გადაკეთდა. დარბაზის ბინადართა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

ერთი სიტყვით, სპორტდარბაზი დიდ გასაჭირში იყო, მაგრამ არასდროს დაუკვნესია, მოუსვენარი ახალგაზრდების განუწყვეტელ სტუმრობას მოთმინებით იტანდა. გარჭაც დაუფასდა: ახალციხიდან კარგი მძლეოსნები რომ წამოვიდნენ, წვლილი ამ დარბაზსაც მიუძღვის. რესპუბლიკის მოზარდთა ნაკრების წევრებმა ა. ბექაურმა, ნ. გარსევანიშვილმა, ს. მარუშაკმა, ს. ხაჩატურიანმა, ზ. ბერიძემ, ა. მიქოიანმა სპორტში სწორედ აქ აიდგეს ფეხი. ახალციხელი მოზარდი მოკრივეები წლევანდელ რესპუბლიკურ პირველობაში კარგად რომ გამოვიდნენ, დარბაზს ამაშიც სათანადო დამსახურება მიუძღვის.



დარბაზს იყენებდნენ, მაგრამ მიხედვა და შეკეთება რომ სჭირდებოდა, ეს აღარავის მოჰგონებია. დაბერდა, დაჩაჩანაკდა, წლევანდელ ხშირ წვიმებს ვეღარ გაუძლო, კედლები ჩამოინგრა, შესასვლელი ორივე მხრიდან ამოიქოლა. ერთ დროს სანაქებო დარბაზში ვარჯიში კი არა, შესვლაც სახიფათო გახდა.

რაიონის განათლების განყოფილების სპორტსკოლის ხელმძღვანელობამ, ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა სათანადო გულისხმიერება ვერ გამოიჩინეს, ბაზის მოწესრიგებისთვის არ იზრუნეს, მწვრთნელების თხოვნა ყურად არავინ იღო.

ზამთარმა მოახლოება ახალციხელებსაც აგრძნობინა. გაჩაღდა მიმოწერა. ახალციხეში გვითხრეს: მაგ დარბაზის ამბავი რაიონის ხელმძღვანელობისთვისაც კარგა ხანია ცნობილი გახლავთო. შედეგი?

ეს სურათები ამ ათიოდე დღის წინა გადაღებული და, ვფიქრობთ, კომენტარებს არ საჭიროებენ.

ასეთია ამბავი ახალციხის განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზისა. მწვრთნელებმა, აღსაზრდელებმა გვითხრეს: რაც შეგვიძლია ჩვენც გავაკეთებდით — შესასვლელს გავწმენდდით, მაგრამ აქ იმდენი საქმეა, სპეციალისტი მშენებლების მეტი თავს ვერავინ გაართმევსო.

სად ივარჯიშონ მოკრივეებმა, კალათბურთელებმა, ტანმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა, მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა?

რ. მაღრაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ახალციხე.





საოლქო გაზეთიდან

,,ესპეციალ ბუთლოვენ

გვჰირდება სათამაშო მინდორი

საჩხერის რაიონის სოფელ შოვხეთის ახალგაზრდებს გვიყვარს ფეხბურთი, გვინდა ვივარჯიშოთ და მონაწილეობა მივიღოთ შეჯიბრებებში, მაგრამ მოკლებული ვართ საამისო საშუალებას. ბევრჯერ ვთხოვეთ ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტს, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მაგრამ არავინ შეიწუხა თავი გამოეყოთ ჩვენთვის მიწის ნაკვეთი ფეხბურთის მინდვრის მოსაწყობად.

ერთ დროს გვქონდა სათამაშო მოედანი, მაგრამ რატომღაც მაინცდამაინც ეს ადგილი აირჩიეს სამანქანო გზისთვის.

იქნებ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ მაინც იზრუნოს ვინმემ ჩვენთვის მიწის ნაკვეთის გამოსაყოფად.

სოფ. შოვხეთის ახალგაზრდობის სახელით ი. და ბ. მაჰარაშვილები.

მძლეოსნობა

პირველიც, მეორეც, მესამეც...

ნალჩიკსა და ესენტუკში გაიმართა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს მძლეოსანთა პირველობა. ნალჩიკში მოზარდთა ნაკრები გუნდები და სპორტსკოლების კოლექტივები ასპარეზობდნენ. ნაკრები გუნდების ტურნირში გაიმარჯვა უკრაინის ნაკრებმა, რომელმაც 30061 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა რსფსრ-ს კოლექტივი — 29876, III — ლენინგრადის გუნდი — 26432. საქართველოს სპორტსმენები VIII ადგილზე გავიდნენ — 19103 ქულა.

სპორტსკოლები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაჰყვეს. პირველ ჯგუფში ყველას ლენინგრადელებმა აჯობეს — 26432 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვისა (26065) და კრასნოდარის (24689) მძლეოსნები. მეორე ჯგუფის კოლექტივებში გაიმარჯვეს ალმაათელებმა — 15171 ქულა. საქართველოს გუნდი მათ 83 ქულით ჩამორჩა და II ადგილი მოიპოვა. III ადგილზე არიან ვოროშილოვგრადელები — 13764.

პირად ტურნირში კარგად გამოვიდა თბილისელი ნ. პოლიაკოვა, რომელმაც 100 მეტრზე რბენა მოიგო — 12,1. მას 0,1 წამით ჩამორჩნენ ი. სტეპანოვა (რსფსრ) და ნ. კონოვალოვა (მოსკოვი). პოლიაკოვამ II ადგილი დაიკავა 200 მეტრზე რბენაში (25,4), სადაც ჩემპიონი ი. კორნევა (უკრაინა) გახდა — 25,2.

საქართველოს სპორტსმენებიდან კიდევ რამდენიმემ დაიკავა საპრიზო ადგილი. ჭოკით ხტომაში მეორე იყო ა. მარავსკი, რომელმაც გამარჯვებულთან, როსტოველ ს. ონიშჩენკოვთან (430 სმ) 20 სმ წააგო. ასევე II ადგილი ხვდა რ. გასპარიანს სამხტომში—13,82 (პირველობა მოიგო უზბეკეთის გუნდის წევრმა ს. კუზინმა — 14,12). გასპარიანმა სიგრძეზე ხტომაში III ადგილი დაიკავა — 621 სმ. მას მხოლოდ ა. მირონოვმა (მოსკოვის ოლქი — 632) და ს. რიბალჩენკომ (დნეპროპეტროვსკი — 627) აჯობეს.

შუბის მტყორცნელ ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა ს. ალუტინმა — 68,95. თბილისელი ტ. ზასეევი IV ადგილზეა — 61,60. ბირთვის კვრაში ზასეევმა III ადგილი დაიკავა, ხოლო ვ. შპეტიშვილმა — IV. შპეტიშვილი მეოთხე იყო ბადროს ტყორცნაშიც, ხოლო თ. მატიცინა მეხუთე აღმოჩნდა 400 მეტრზე რბენაში.

ესენტუკში უფროსები და იუნიორები გამოდიოდნენ. უფროსთა ტურნირი სამ ჯგუფად გაიმართა: პირველ ჯგუფში ყველას რსფსრ-ს მძლეოსნებმა აჯობეს — 58400 ქულა. მეორე ჯგუფში უძლიერესნი ყირგიზეთის სპორტსმენები აღმოჩნდნენ — 11653, II ადგილზე არიან აზერბაიჯანის (11505), III — საქართველოს (8396) წარმომადგენლები. მესამე ჯგუფში ყველას მოსკოვის ოლქის ნაკრებმა აჯობა.

იუნიორებში პირველი ჯგუფის გუნდების ტურნირი ბელორუსიის კოლექტივმა მოიგო. მეორე ჯგუფში საქართველოს კოლექტივმა (ხოლოდ ვაჟებით) 11338 ქულა მოაგროვა და პირველობა დაისაკუთრა. მესამე ჯგუფის გუნდებში კრასნოდარელებმა ისახელეს თავი.

საქართველოს მძლეოსნები შედარებით უკეთ გამოვიდნენ 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, სადაც ვ. პეტროვმა დაიკავა IV ადგილი (1:34.15,6), ა. ბერიძემ VI (1:36.45,0), ხოლო ო. გულიევმა VII (1:40.11,4). ხუთჭიდში ლ. იევლევა IV ადგილზე [illegible] — 3586 ქულა.

მიუნხენის ოლიმპიური ჯვარი

10. მომავალ შეხვედრამდე!..

ერთი თვე გავიდა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ფინიშის დღიდან, მაგრამ მსოფლიო პრესა კვლავ ფართოდ აშუქებს ამ გრანდიოზული სპორტული ასპარეზობის შედეგებს. აღნიშნავენ საბჭოთა სპორტის ძლევამოსილ გამარჯვებას მთავარ მეტოქეებზე — ამერიკელებზე. მართლაც, ტრიუმფალური იყო საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა XX ოლიმპიურ თამაშებში. 50 ოქროს, 27 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოს მედალი. ასეთი უხვი ნადავლით დაბრუნდნენ სამშობლოში საბჭოთა ოლიმპიელები.

საბჭოთა გუნდის მთავარ მეტოქეს, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს მიუნხენის ოლიმპიადამდე არაოფიციალურ ჩათვლაში პირველ ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ. ამის საბუთიც ჰქონდათ. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა XX თამაშების პროგრამის დამტკიცებისას ძალიან გაწელა მძლეოსნობისა და ცურვის პროგრამა, რითაც ამერიკელთა წისქვილზე მოჰარბებული წყალი დაასხა. მაგრამ რა მოხდა? ოკეანესგაღმელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ცურვაში, მაგრამ ძალიან ჩამორჩნენ მძლეოსნობაში, სადაც მარცხი მარცხზე იწვნიეს უმეტესად საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებისგან.

მიუნხენი სტუმართმოყვარულად ხვდებოდა ყველა ჩამოსულს — სპორტსმენებს, ტურისტებს თუ ჟურნალისტებს. ბავარიის დედაქალაქის მკვიდრნი ერთნაირი აღტაცებით ხვდებოდნენ ყველა ქვეყნის სპორტსმენთა წარმატებას, თუმცა, ბუნებრივია, უფრო უხაროდათ თანამემამულეთა გამარჯვება. ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა. ჟურნალისტებს სადავო და საკამათო აღარაფერი გვქონდა, მაგრამ ერთ დღეს ჩვენთვის გამოუოფილი უჯრების გახსნისას, სადაც ჩვეულებრივ პრეს-ცენტრის მიერ მომზადებული ოპერატიული ინფორმაციები და პროგრამები უნდა აგვეღო, უცხო პაკეტები შეგვრჩა ხელში, რომლებშიც ცილისწამებლური მონაჭორი იყო საბჭოთა ქვეყნის შესახებ. საიდან მოხვდა ეს სიბინძურე პრეს-ცენტრში? ყველა გაზეთი ქებით იხსენიებდა საბჭოთა სპორტსმენების არნახულ გამარჯვებას, დიდად აფასებდნენ სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა გამოსვლას. მაგრამ იყო გამოცემები, სადაც სპორტული ინფორმაციების გვერდით ანტისაბჭოთა გამოხდომებით სავსე წერილებიც გვხვდებოდა. ვია სჭირდებოდა ეს მსოფლიოს სპორტსმენთა ამ მეგობრული თამაშების დროს?

სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს წარგზავნილებმაც. საბჭოთა ოლიმპიურ გუნდში ჩვენი რესპუბლიკის 18 სპორტსმენი იყო, რომელთაგან 16 სპორტულ სარბიელზე გამოვიდა. ოლიმპიადის დაწყებამდე ორი დღით ადრე მოულოდნელად ავად გახდა ტანმოვარჯიშე ნინა დრონოვა. მწვრთნელებმა საასპარეზოდ არ ვამოიყვანეს ნინიბოსანი ოლეგ ქოფიანიძე. დანარჩენები ჩაებნენ გამარჯვებისთვის ბრძოლაში. უკვე აღვნიშნეთ XX თამაშებში საპრიზო ადგილებზე გასულ საქართველოს სპორტსმენთა წარმატება. 16 კაციდან 15-ს საპრიზო ადგილი ერგო. დარჩა ერთი სპორტსმენი საპრიზო ადგილის გარეშე. ეს იყო ნანიბოსნო სლალომში შეჯიბრების მონაწილე გ. ნასყიდაშვილი, რომელიც 31-ე ადგილზე გავიდა. მაგრამ გიორგის ვერ დავემდურებით. საბჭოთა გუნდის სხვა მონაწილეებმაც ვერ აჩვენეს ქართველ სპორტსმენზე უკეთესი შედეგი. უნდა გამოვტყდე: ნანიბოსნო სლალომში ასპარეზობის ნახვისას, ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, თითქოს მონაწილენი დასალუპად იყვნენ განწირულნი. უძნელესი ტრასა, ბობოქარი მდინარე — ყველაფერი ეს შიშის გრძნობას გგვრიდა, გვეგონა სპორტსმენს საცაა მდინარე ჩაყლაპავსო. როცა ნასყიდაშვილმა რბოლა დაამთავრა, შვებით ამოვისუნთქე, საპრიზო ადგილს რაღახ ვჩიოდი.

როცა XX ოლიმპიური თამაშების სპორტული ბატალიები დასასრულს უახლოვდებოდა, როცა უკვე აშკარა გახდა სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის გამარჯვება, ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში გამოჩნდა სტატიები, რომლებიც შორს იყო ოლიმპიური იდეალებისგან. იქაური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე უხვად იბეჭდებოდა იმ სპორტსმენთა ცხოვრების ამსახველი ამბები, რომლებმაც წინა ოლიმპიადებში წარმატებას მიაღწიეს. წერდნენ, რა სიმდიდრე შესძინა სპორტმა სახელგანთქმულ კალათბურთელს უილტონ ჩემბერლენსა და სპენსერ ჰეივუდს. ეს უკანასკნელი ხომ მეხიკოს თამაშებში აშშ-ს გუნდის გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო. ბიზნესის გზაზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ამერიკის კალათბურთელთა ამჟამინდელი ნაკრების წევრს ჯეიმს ბრენერს, რომლის გადაბირება უკვე ორი წლის წინათ განუზრახავს პროფესიულ კლუბს „კლივლენდს". არა მგონია ზემოხსენებული კლუბი ისევ იმ აზრზე იდგეს, რადგან ბრენერს მიუნხენში თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია, საბჭოთა კალათბურთელებთან მატჩში მან მხოლოდ 9 ქულა შესძინა თავის გუნდს.

სუსტი ნებისყოფის ზოგი ამერიკელი ოლიმპიელი ალბათ წამოეგო პროფესიული კლუბების წინადადებათა ანკეტაზე. ამ ორგანიზაციათა ბევრი წარმომადგენელი მიუნხენში მარტო შეჯიბრებების საყურებლად როდი იყო ჩამოსული, სხვა საქმეც ჰქონდა — თამაშებში ვამარჯვებულთა გადაბირება. ალბათ ამ ანკეტაზე წამოეგო ლეგენდადქცეული მოცურავე მარკ სპიტცი, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ძალიან ძნელია სულ სპორტულ ფორმაში იყო. მომქანცველი მუშაობაა. გეგმა შევასრულე: ჩემს ქვეყანას 7 ოქროს მედალი შევძინე. მგონი საკმარისია! ცურვას თავს ვანებებ და სარფიან საქმეს მოვკიდებ ხელს". ამ ბოლო ხანს ცნობილი გახდა, რომ სპიტცი საკმაოდ გამდიდრდა. რამდენიმე ტელეკომპანიასთან ფულშეკრულებაც კი დადო, ხომ ხედავთ, სპიტცი თავისი წინამორბედის, ჯონი ვაისმიულერის გზას დაადგა. ექნება კი მას წარმატება ამ ასპარეზზე? ამას ალბათ მომავალი გვიჩვენებს.

მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები დამთავრდა. 15 დღის განმავლობაში დაძმობილებული სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები ერთმანეთს გულთბილად დაეშვიდობნენ, გამოთქვეს ახალ ასპარეზობებში შეხვედრის სურვილი. ამ ოლიმპიადამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სხვადასხვა ფერის, რწმენის ადამიანთა ურთიერთგაგებას, მათს დამეგობრებას. მომავალ შეხვედრამდე მონრეალის სარბიელზე! ამბობდნენ XX თამაშების მონაწილეები და ჩვენც ამით დავამთავროთ მიუნხენის თამაშებზე თხრობა.

მომავალ შეხვედრამდე მონრეალის სარბიელზე!

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მიუნხენი — თბილისი.



ს უ რ ა თ ზ ე: ბავარიის დედაქალაქის ერთ-ერთი კუთხე.
მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).



ტაბაგეს...

პარიზი, 18 ოქტომბერი. სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის

გამარჯვება პირველ მატჩში

13 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ანგარიშით 3:1 (1:0) დაამარცხეს თავიანთი ფრანგი თანატოლები.

საბჭოთა გუნდი ამ შემადგენლობით გამოდიოდა: გოგია, ალექსანდროვი, ზვიადგინცევი, ბუტურლაკინი, გოლოდოვი, ანტონოვი (ბურიაკი), გუცაევი, იაკუბიკი, გ. ნოდია, მახოვიკოვი, ყოფიანი (დოროფეევი).

საბჭოთა გუნდის უპირატესობა საკმაოდ საგრძნობი იყო. 34-ე წუთზე ნოდიამ (იაკუბიკის ზუსტი გადაცემის შემდეგ) ანგარიში გახსნა. 25 წუთის შემდეგ ბურიაკმა, რომელმაც მეორე ტაიმში ანტონოვი შეცვალა, სხვაობა გაზარდა. ამის შემდეგ რაღაც გარკვეული დროით მინდვრის მასპინძლები მოდუნდნენ და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა ლაკომბმა (84-ე წუთზე) ერთი ბურთი გაქვითა. მაგრამ უკვე ორი წუთის შემდეგ გუცაევმა თავის მინდორზე ბურთი დაიჭირა, რამდენიმე ფრანგი მოთამაშე მოატყუა და კიდევ ერთი გოლი გაიტანა სტუმრების კარში.

პირველ შესარჩევ მატჩში წააგეს საფრანგეთის გუნდთან — 0:1 (0:0). ამ შეხვედრაში, რომელიც პარიზის „პარკ დე პრენსის" პირთამდე სავსე სტადიონზე ჩატარდა, ერთადერთი გოლი მინდვრის მასპინძელთა მარცხენა გარემარბმა ბერეტამ გაიტანა 61-ე წუთზე, საჯარიმო დარტყმის შემდეგ.

საბჭოთა გუნდი ამ შემადგენლობით გამოდიოდა: რუდაკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ლოვჩევი, ოლშანსკი, ფედოტოვი, კოლტოვი, იშტოიანი (ევრიუჟიხინი), სემიონოვი, ბლოხინი (ბუზაჩი).

პირველ გამოსვლას მსოფლიო პირველობის ახალ გათამაშებაში პირველი მარცხი მოჰყვა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა გუნდმა სუსტად ითამაშა. განსაკუთრებით ცუდად თამაშობდნენ თავდამსხმელები. მთელი შეხვედრის მანძილზე არც ერთ მათგანს არც ერთხელ კარში არ დაურტყამს.

პირველ ტაიმში სხვებზე სახიფათოდ უტევდნენ მცველი ლოვჩევი, მეორეში — ნაკრების კაპიტანი ხურცილავა და ნახევარმცველი ოლშანსკი. იშტოიანი და ბლოხინი საოცრად ინერტულად, შებოჭილად თამაშობდნენ, გადაცემები უზუსტო იყო.

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ საბჭოთა ნაკრების მცველები არ იმსახურებენ საყვედურს.

ფრანგი ფეხბურთელები მეგობრულად, აქტიურად და ტექნიკურად თამაშობდნენ, ყოველ გადაცემას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგი შესარჩევი შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებს 18 ოქტომბერს ექნებათ დუბლინში ირლანდიის ნაკრებთან.

სსრ კავშირის ჩემპიონატი



გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

შედგომარეობა 15 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დ." (კ.)	24	12	10	2	30—16	34
„კარპატი"	26	12	9	5	34—24	33
ცსკა	26	12	8	6	36—19	32
„ზარია"	25	10	11	4	29—26	31
„ტორ."	25	9	12	4	30—26	30
„დ." (მ.)	25	11	7	7	38—24	29
„დ." (თბ.)	25	11	6	8	38—28	28
ასკ (რ.)	26	8	10	8	31—27	26
„ნეფთჩი"	26	9	8	9	31—29	26
„ზენიტი"	27	6	11	10	35—44	23
„არარატი"	25	8	6	11	22—26	22
„დ." (მნ.)	25	4	14	7	15—19	22
„ყირათი"	26	5	9	12	26—38	19
„ლოკ."	27	6	7	14	26—45	19
„დნეპრი"	26	5	8	13	30—43	18
„სპარტ."	24	5	6	13	17—34	16



22 ირლანდიელი

როგორც ცნობილია, 18 ოქტომბერს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ირლანდიის ეროვნულ გუნდთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თავის მეორე მატჩს გამართავს.

ირლანდიის ნაკრები ინტენსიურად ემზადება ამ შეხვედრისთვის. გუნდში ბევრი ფეხბურთელია მიწვეული ინგლისის კლუბებიდან.

საბჭოთა ნაკრებთან თამაშისთვის ემზადება ეს 22 ფეხბურთელი: კელი („პრესტონი"), კერნსი („ოქსფორდი"), თომასი („უოტერფორდი"), კეროლი („ბირმინგემი"), ჰენდი („პორტსმუთი"), დანინგი („შელბორნი"), ჰოლმსი („კოვენტრი-სიტი"), კინიერი („ტოტენჰემ ჰოტსპური"), მალიგანი („კრისტალ პალასი"), მაკკონვილი („უოტერფორდი"), ბარნი („საუთჰემპტონი"), კემპბელი („ფორტუნა"), ჭაილსი („ლიდს იუნაიტედი"), მარტინი („ბოჰემიენსი"), როჯერსი („სვინდონ თაუნი"), კონროი („სტოკ-სიტი"), დენეჰი („კორკ ჰიბერნიენსი"), გივუხი („კუინს პარკ რეინჯერსი"), ჰეივეი („ლივერპული"), ლიჩი („შემროკ როვერზი"), ო'კონორი („ბოჰემიენსი"), ტრესი („სვინდონ თაუნი").



ფიგურისტები ემზადებიან

მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, ვოსკრესენსკის, ქვეყნის სხვა ქალაქების ხელოვნურ ყინულზე ფიგურული სრიალის საბჭოთა ოსტატები ახალი სეზონისთვის ემზადებიან, ახალ პროგრამებს ამუშავებენ. მათთვის წლევანდელი სეზონი საკმაოდ რთული და დაძაბული იქნება. საპოროს ოლიმპიადის შემდეგ მსოფლიო ფიგურული სრიალის ლიდერთა დიდმა ჯგუფმა ან შეწყვიტა გამოსვლა, ან ყინულზე ბალეტის დასებში გადავიდა. ასე გაჩნდა „ვაკანტური ადგილები", ევროპისა და მსოფლიოს უძლიერეს ფიგურისტთა შორის უმაღლეს საფეხურზე მოხვედრის შანსი. ამას გარდა, შეჯიბრების წესებში მოხდა ცვლილებები, რაც ერთეულ მოციგურავეებს შეეხებათ. ახლა მათ ნაკლებად დასჭირდებათ სავალდებულო პროგრამის უსიამოვნო ფიგურების ზუთხვა, ოღონდ, გარდა ნებისმიერი სრიალისა, საჭირო იქნება სპეციალური სავალდებულო კომპოზიციის შესრულება. ამგვარად, ორჭიდის მაგიერ მათ სამჭიდი მიიღეს.

საბჭოთა სპორტსმენებს ეს ცვლილება უნდა მოეწონოთ. ნებისმიერ ციგურაობაში მსოფლიო სარბიელზე მათ უკვე დიდი ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი, მხოლოდ სავალდებულო „სკოლაში" სუსტი გამოსვლა უშლიდათ ხელს.

პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონი ს. ჩეტვერუხინი და მისი თანაგუნდელი ი. ოვჩინიკოვი წლეულს საბრძოლველად არიან განწყობილი და ყველა რანგის ჩემპიონატებში საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი აქვთ. ემზადებიან წყვილებიც. ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ა. ულანოვი ახალ პროგრამას ამზადებს თავის მეუღლესთან ლ. სმირნოვასთან ერთად. მათ უარი თქვეს პროფესიონალ მწვრთნელებზე და ლენინგრადის მცირე საოპერო თეატრის ბალეტის სოლისტ ლ. პანოვას ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ, ახალ პროგრამას ამზადებენ.

საბჭოთა კავშირის ხელოვნურ საციგურაოებზე დასკვნითი ვარჯიშები ტარდება. სპორტსმენები ემზადებიან.

• • •

სურათებზე (მარცხნიდან): ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები, ფიგურული სრიალის ოსტატები საწვრთნელ მეცადინეობაზე. ი. ოვჩინიკოვი; ლ. სმირნოვა და ა. ულანოვი თავიანთ ახალ მწვრთნელ ლ. პანოვასთან ერთად; ს. ჩეტვერუხინი.

ვ. გალაკტიონოვი.

მუჰამედ ალი უარს აცხადებს

სახელგანთქმული მოკრივე — მძიმეწონოსანი მუჰამედ ალი, მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ბროფესიონალთა შორის, ზანგთა თანასწორუფლებიანობისთვის აქტიური მოღვაწე, ვიეტნამში აშშ-ს აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი — უარს აცხადებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ იოჰანესბურგში საჩვენებელ მატჩში გამოსვლაზე.

ცნობილია, რომ ბევრი სახელმწიფო ბოიკოტს უცხადებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ მთავრობას, საერთოდ ამ ქვეყანას, სადაც რასიზმი ოფიციალური პოლიტიკის რანგამდეა აყვანილი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ცდილობს რა გაარღვიოს ეს ბოიკოტის ფრონტი, სხვადასხვა ორგანიზაციის მეშვეობით თავის ქვეყანაში იწვევს ზანგ მსახიობებსა და სპორტსმენებს, ამასთან, გასამრჯელოსაც გულუხვად სთავაზობს. ასეთი ჰონორარით მოხიბლული ზოგიერთი „შავი ვარსკვლავი" თანხმობას აცხადებს ამ მიწვევაზე, ანგარიშს არ უწევს ზანგთა ორგანიზაციებსა და აფრიკის ქვეყნების პროტესტებს. ბუნებრივია, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ისეთი ცნობილი ათლეტის გამოსვლა, როგორიც ზანგი ხალხის ნამდვილი ეროვნული გმირი მუჰამედ ალია, დიდ „მორალურ კაპიტალს" მოუტანდა ამ სახელმწიფოს მთავრობას.

სამხრეთაფრიკელები რამდენიმე თვის განმავლობაში „ამუშავებდნენ" მუჰამედ ალის მენეჯერს და კარგა დიდ თანხას სთავაზობდნენ მოკრივეს ა. ჯოენსთან საჩვენებელ შეხვედრაში მონაწილეობისთვის. შეხვედრა იოჰანესბურგის ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ დარბაზში „ელის პარკში" უნდა ჩატარებულიყო, სადაც ადგილების 90 პროცენტი „მხოლოდ თეთრებისთვისაა" განკუთვნილი. კრივის ბიზნესმენთა ძალდატანებით ალი დათანხმდა ორთაბრძოლაში მონაწილეობაზე, მაგრამ წამოაყენა მოთხოვნა, რომ ადგილების ნახევარი ფერადკანიანებისთვის გამოეყოთ.

მოკრივის სიტყვით, მას პირადად სურდა ენახა, რა ხდებოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც წინასწარ ტკბებოდა ალის გამოსვლის შთაბეჭდილებით, დათანხმდა „გამონაკლისის სახით" შეესრულებინა ეს მოთხოვნა.

ალის თანხმობამ ზანგი ხალხის დიდი პროტესტი გამოიწვია როგორც ამერიკაში, ისე აფრიკის ქვეყნებში. თანასწორუფლებიანობისთვის მებრძოლ ზანგთა მოძრაობის ცნობილმა მოღვაწემ, აშშ-ს ზანგთა ორგანიზაციების ახლახან შექმნილი პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთმა ლიდერმა ი. მარაკამ მოკრივეს მოუწოდა გადაესინჯა თავისი გადაწყვეტილება. მუჰამედ ალის მომავალი გამოსვლის წინააღმდეგ გაილაშქრა ამერიკის ზანგთა პრესამ და ამერიკელ კომუნისტთა გაზეთმა „დეილი ურორდმა". და აი, მუჰამედ ალიმ განაცხადა, რომ უარს ამბობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამოსვლაზე. აშშ-ს ზანგი საზოგადოებრიობა ამ სამართლიან გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდა, მაგრამ ბევრი გაზეთი თავს დაესხა ცნობილ მოკრივეს. მიუხედავად ამისა, მუჰამედ ალი ურყევია. „ჩემი ახალი გადაწყვეტილება უცვლელი დარჩება" — განაცხადა მან.

ვ. ბაიდაშინი,
საკადესის კორ.

ნიუ-იორკი.

დ. დუგანის მე-200 გოლი

ჩვენი გულშემატკივრებისთვის კარგად ცნობილი ფეხბურთელი, ჩრ. ირლანდიისა და „ულვერჰემპტონ უონდერერსის" ცენტრალური თავდამსხმელი დ. დუგანი კვლავ წარმატებით თამაშობს ინგლისის I ლიგაში.

„ულვერჰემპტონისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩში (2:0) დუგანმა თავისი მორიგი, რიგით მე-200 გოლი გაიტანა ინგლისის ჩემპიონატებში.

ამოცანა

ბ. კაკაბაძე
(თბილისი)



შამათი 8 სვლაში

დამნაშავე ეჭიმი

ბუენოს-აირესში გამოცხადდა, რომ დაპატიმრებულია კლუბ „სან ლორენცო დე ალმაგროს" ექიმი. როგორც დამტკიცდა, თამაშის წინ იგი ფეხბურთელებს აღგზნებ საშუალებებს აძლევდა. საერთოდ, დოპინგის მიღება საკმაოდ ხშირი მოვლენა გახდა არგენტინულ ფეხბურთში.

იტალიის ფეხბურთის იუბილე

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 1973 წლის მარტში აღინიშნება ეროვნული ფეხბურთის 75 წლის იუბილე. მოეწყობა მატჩი იტალიის ნაკრებსა და მსოფლიო ფეხბურთის „ვარსკვლავებისგან" შემდგარ გუნდს შორის.

არავითარ შემთხვევაში

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ კატეგორიულად უარყო კლუბ „ვალენსიას" თხოვნა შემდინარე სეზონიდან გუნდების შემადგენლობაში უცხოელთა დაშვების შესახებ. ახლა ესპანეთის ჩემპიონატში მხოლოდ ის უცხოელები თამაშობენ, რომლებიც აქ ადრე ჩამოვიდნენ. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას მიაჩნია, რომ უცხოელთა მოწვევის პრაქტიკამ



სერიოზულად დაამუხრუჭა ეროვნული ფეხბურთი.

სივორი — ახალგაზრდების მწვრთნელი

ცნობილი არგენტინელი მოთამაშე ო. სივორი, რომელიც თავის დროზე ევროპის უძლიერეს ფეხბურთელად იყო აღიარებული და „ოქროს ბურთის" ლაურეატიც გახდა, არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

სპორტულ მიმომხილველებს ეს გადაწყვეტილება არ მიაჩნიათ მაინცდამაინც სწორად, ვინაიდან იტალიის „იუვენტუსსა", და „ნაპოლში" თამაშის დროს სივორის სისტემატურად აძევებდნენ მინდვრიდან. იგი მეტისმეტად ფიცხი ხასიათითა და არასპორტული საქციელით გამოირჩეოდა.

„არაბეთის თასი"

ლიბანის ფეხბურთის ფედერაციამ წინადადებით მიმართა ყველა არაბულ ქვეყანას განახლდეს დიდი საერთაშორისო გათამაშება, რომელიც ადრე სამჯერ გაიმართა — 1963, 1964 და 1966 წლებში. ორჯერ წარმატება ხვდათ ტუნისელებს, ერთხელ — ერაყელებს. ბოლო წლებში საომარი ვითარების გამო „არაბეთის თასი" აღარ გათამაშებულა.

ევროკაში ვერ ითამაშებენ

როგორც ცნობილია, უეფა-მ გფრ-ის ბუნდესლიგის კლუბ „ჰერტას" (დას. ბერლინი) მთელ რიგ მოთამაშეებს აუკრძალა ევროპის ფარგლებში თამაში, მას შემდეგ რაც გფრ-ის ფეხბურთის ფედერაციამ ისინი დასჯა ქრთამის აღებისთვის.

მაგრამ, როგორც ჟურნალ „ფუსბალეროხ" იუწყება, დასჯილმა მოთამაშეებმა მაინც მონახეს თავისებური გამოსავალი. ორი მათგანი, პაცკე (გფრ-ის ნაკრების ყოფილი მცველი) და რუმორი, სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა, ხოლო 8 მოთამაშე — სამხრეთ აფრიკაში. იქ მათ ვერავინ დაუშლის თამაშს.

ერთვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პარაშუტისტების ბრწყინვალე მიღწევები

საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა სამხედრო-საჰაერო ძალების პარაშუტისტთა საკავშირო შეჯიბრება, -რომელიც თბილისის ახლოს გაიმართა. ვ. შარაბანოვმა, ა. პარფიონოვმა, ა. ოსიპოვმა, ნ. უშმაევმა, ბ. ლეონოვმა, ე. გლადილოვმა, ნ. სკრიპკინმა, ვ. ხაპკინმა და ვ. კუდრიავცევმა 1000 მეტრიდან ჯგუფურ ხტომაში წარმატება მოიპოვეს—ზუსტად დაეშვნენ 10-სანტიმეტრიან წრეზე. ეს აბსოლუტური მსოფლიო რეკორდია.

ამ სიმაღლიდან ჯგუფურ კომბინირებულ ხტომაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა ქალთა გუნდმაც (ლ. ზაკორეცკაია, ლ. კორიჩევა, ვ. ცვეტკოვა, ა. დიუკოვა, ვ. სიომინა, ლ. მირონოვა, მ. შაევა, ნ. სირჩინა, ტ. როკოვა).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ბუნებაზე

მოტოკროსი. დელისის მიდამოები. დღეს. სსრ კავშირის ჩემპიონატის V ეტაპი. დასაწყისი 12 ს.

ცხენოსნობა. იპოდრომი. 17-20 ოქტომბერი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშების პროგრამით. დასაწყისი 10 ს.

კალათბურთი. ლენინის სახ. დარბაზი. დღეს. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშების პროგრამით. დასაწყისი 10 ს.

ფიზკულტურული ზეიმი. პარტიზანების პარკი. დღეს. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასობრივი ფიზკულტურული ღონისძიებები. მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. კონცერტი. დასაწყისი 11 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 6, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეკანეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 99 81-71, 93 97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-51, კორექტორები — 93-97-49.